



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგია
სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 16.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 30.06.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი 0911
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული, 25.11.2011, 362 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ მარგველაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გიგინეიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი აბულაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ინანაშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2011 წლის 25 ნოემბერი, გადაწყვეტილება N 362).

პროგრამის ხანგრძლივობა ხუთი წელია, კრედიტების რაოდენობა - 300. სწავლება მოიცავს 10 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს, მათ შორის საკონტაქტო_15 სთ, არასაკონტაქტო_ 10 სთ. სავალდებულო და არჩევითი კრედიტების თანაფარდობა _ 285/15, სწავლების ენა არის ქართული.

საგანმანათლებლო პროგრამა თანმიმდევრული და დღევანდელობასთან ადაპტირებული, თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო ინფორმაციის შემცველი სასწავლო კურსებით არის წარმოდგენილი. საბაზისო, საბუნებისმეტყველო, ქცევითი და სოციალური კურსების შესწავლას დათმობილი აქვს 110 კრედიტი, ხოლო კლინიკური მეცნიერებებისას _ 190 კრედიტი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 16 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: ვლადიმერ მარგველაშვილი (თავმჯდომარე), ელენე გიგინეიშვილი (წევრი), გიორგი აბულაძე (წევრი), ქეთევან ინანაშვილი (ცენტრის წარმომადგენელი). , ქეთევან ინანიშვილი (ცენტრის წარმომადგენელი).

ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ., ფაკულტეტის დეკანი) პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან (რანდომიზებულად 8 პიროვნება), მოწვეულ პერსონალთან (რანდომიზებულად 7 პიროვნება), სტუდენტებთან (რანდომიზებულად 6 სტუდენტი), კურსდამთავრებულებთან (რანდომიზებულად 6 კურსდამთავრებული), დამსაქმებლებთან (ექვსი პიროვნება).

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საფანტომო და სასწავლო კლინიკური ბაზები, ბიბლიოთეკა.

ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ, კოლეგიალურ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 1.1. და 1.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კონკრეტულად, კომპონენტები, 2.1, 2.2, 2.4, 2.6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ხოლო კომპონენტები, 2.3 და 2.5 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან, კომპონენტი 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.2 და 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კომპონენტი 4.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 5.1, 5.2, 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

- ფართოდ დაინერგოს და განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტი გამოცდებზე.
- უფრო ღრმად განხორციელდეს ინტეგრირებული სწავლება. დაინერგოს ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციები.
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების დეტალური კონკრეტიზაცია.
- საგანს „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“ (3 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი).
- საგანს „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“ (4 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი) და „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგიის საფუძვლები“ (3 სემესტრი).
- პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.
- გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობა.
- პროგრამის ხელმძღვანელს მიეცეს უფლება კლინიკურ საგნებში დარგის სპეციფიკიდან და პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვროს ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა.
- კლინიკურ საგნებში პაციენტებთან მეტი კომუნიკაცია და პრაქტიკული მუშაობა ექიმი სტომატოლოგის, პროფესორ მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ იყოს სავალდებულო.
- სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში იყო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- იმის გათვალისწინებით რომ საერთაშორისო ლიტერატურასთან შედარებით ქართული დარგობრივი სახელმძღვანელოები არც ისე მრავალფეროვანია, დამატებითი ლიტერატურის სახით მოხდეს პროგრამაში ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების დამატება თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ და ბავშვთა სტომატოლოგიაში.
- პროგრამის შემადგენელი მოდულებისა და სასწავლო დისციპლინების შედეგების გათვალისწინებით, მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების დაკორექტირება, სტომატოლოგიის ვიწრო სპეციალობებზე მორგება და პროგრამის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი მახასიათებლების ჩამოყალიბება.
- სასურველია საერთაშორისო ექსპერტის ჩართვა ხარისხის შეფასების პროცესში.
- საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.
- სტომატოლოგიის პროგრამის უცხოელი სტუდენტებისათვის, საგნის შინაარსში „ქართული ენა უცხოელთათვის“ მოხდეს სტომატოლოგიის დარგისთვის აუცილებელი, საჭირო ქართული ტერმინოლოგიის შეტანა რათა სტუდენტებს უფრო გაუადვილდეთ მოცემული პროგრამის გაგება და შესწავლა.
- სასურველია პერიოდულად პროგრამის დადარება უცხოური მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- სწავლის შედეგები გადმოცემული იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N69/ნ 2019 წლის 10 აპრილი, დანართი N1 შესაბამისად, ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის მიხედვით.
- მიზანშეწონილია სასწავლო პროგრამაში შევიდეს (ჩაერთოს) ისეთი სასწავლო დისციპლინები, როგორიცაა: გეროდონტოლოგია, სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა, შშმ პირების სტომატოლოგიური დახმარების მენეჯმენტი.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების მეტი ჩართულობა ადგილობრივ ღონისძიებებსა და კონფერენციებში.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისათვის აპელირების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მოხდეს სტუდენტების არსებული რაოდენობის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული საფანტომო მასალების შეძენა.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტის მომავალი კარიერული წინსვლისათვის.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- შეიცვალა სასწავლო კურსების წინაპირობები, ჩამოყალიბდა კურსებზე მორგებული, უფრო ლოგიკური წინაპირობების სისტემა. შეიცვალა შეფასებების სისტემა. ცვლილებების მიზანი იყო კურსების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. სისტემატურად ხდება საგამოცდო ბილეთებისა და საგამოცდო ცენტრში არსებული ტესტების ბაზის განახლება. საგამოცდო შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით ჩატარდა პილოტური გამოცდა OSPE - პრინციპით პაროდონტოლოგიის სასწავლო კურსში. დაიგეგმა OSPE და OSCE შეფასების სისტემის გამოყენება, რაც ასახულია შესაბამის სილაბუსებში.
- მოხდა სასწავლო კურსების სილაბუსების კორექცია. სწავლის შედეგები განისაზღვრა სამი ძირითადი მიმართულებით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. უმნიშვნელოდ შეიცვალა საკონტაქტო საათების გადანაწილება; განახლდა უცხო ენის სასწავლო კურსის სილაბუსები ასათვისებელი დონეების მიხედვით, შესაბამისად გამარტივდა სტუდენტთა ჯგუფებში გადანაწილება.
- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მოხდა ახალი სასწავლო კურსების დამატება: „სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა“; „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“; „სტომატოლოგიური კლინიკის მართვა“; „ლიდერობა ჯანდაცვაში“; „სამედიცინო პროგრამების მენეჯმენტი“. ზოგიერთი სასწავლო კურსები გაერთიანდა მოდულებად.
- სილაბუსებში დაიხვეწა სწავლების მეთოდები. აღნიშნული მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი ხორციელდებოდა როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში. ხოლო სასწავლო პროცესში მათი გამოყენების ეფექტურობის შესწავლა ხდებოდა უშუალოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.
- სტომატოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისთვის შეიქმნა სალექციო კურსები: „ბავშვთა ქირურგიული სტომატოლოგია“ (ამბულატორიული ქირურგია და ყბა-სახის ანთებითი დაავადებები), „ოპერაციული ოდონტოლოგია და საბჟენ-სარესტავრაციო მასალები“, „პაროდონტოლოგია - თანამედროვე კლასიფიკაცია და ძირითადი ცნებები“, „ორთოდონტიის პროპედევტიკა“. სალექციო კურსების საჭიროება განაპირობა ამ მიმართულებებში თანამედროვე სახელმძღვანელოების სიმცირემ.
- დამსაქმებელთა აზრი და მათი შეფასება კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული მომზადების შესახებ გათვალისწინებული იყო პროგრამის დაგეგმვის პროცესში. შესაბამისად პროგრამაში დაემატა პრაქტიკული კომპონენტები („სტომატოლოგიის ასისტირება (პრაქტიკა)“ და „კლინიკური უნარ-ჩვევები“).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. ისინი ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის ტენდენციებს, ასევე სახელმწიფოს და საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს.

შეფასება

ადამიანის პირის ღრუს ჯანმრთელობა მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სტომატოლოგია კი ჯანდაცვის სფეროს სწრაფად პროგრესირებადი, მუდმივად განახლებადი მიმართულებაა და ემსახურება მოსახლეობის პირის ღრუს ჯანმრთელობის დაცვას, შენარჩუნებას და გაუმჯობესებას.

პროგრამის მიზანია;

თანამედროვე სამედიცინო განათლების და პრაქტიკის სტანდარტების შესაბამისი სისტემური თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სტომატოლოგების მომზადება და მიწოდება პროფესიული დასაქმების სხვადასხვა სფეროში. პროგრამა ამზადებს ჰუმანური, მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე პროფესიონალ სტომატოლოგებს, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პაციენტებთან

და კოლეგებთან ეფექტურ კომუნიკაციას, მათი უფლებების დაცვას, სამედიცინო მეცნიერების პროგრესული მიღწევების ათვისებას და ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში ღირებული წვლილის შეტანას. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ უმცროს ექიმებად და პედაგოგებად, ასევე განაგრძონ სწავლა რეზიდენტურაში და/ან დოქტორანტურაში. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, ლოგიკურ კავშირშია შედეგებთან, მიღწევადი და განხორციელებადია და შეესაბამება დაწესებულების მისიას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია ○ წესდება ○ საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს სხდომაზე 06-01/07, 05.02.2020) ○ ფაკულტეტი მისია, მიზნები და სტრატეგია ○ ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ ფართოდ დაინერგოს და განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტები გამოცდებზე. ○ უფრო ღრმად განხორციელდეს ინტეგრირებული სწავლება. დაინერგოს ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მეტი აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის შემადგენელი კომპონენტების (სასწავლო კურსი, მოდული და სხვ.) შინაარსი, სწავლების მეთოდების და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტებით დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგები (10 შედეგი) აღწერს იმ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ძირითადად არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

შეფასება

სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული, კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივ მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე კურსდამთავრებულების გამოშვებას. საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისების შემთხვევაში, კურსდამთავრებული გადის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე: საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქცევით და

სოციალური (110 კრედიტი) და კლინიკური მეცნიერებების (190 კრედიტი) ცოდნაზე.

დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების (დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრაციის მეთოდი, პრეზენტაცია და სხვა) გამოყენება. კლინიკური კურსების ნაწილში დაგეგმილია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რომელიც მეტად მნიშვნელოვანია მედიცინაში კლინიკური უნარების და სხვადასხვა სამედიცინო კომპონენტების შესაფასებლად.

სასწავლო კურსების სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგიები, მათი შინაარსი და მოცულობა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ეს განაპირობებს კურსდამთავრებულთა შემდგომ დასაქმებას მიღებული სასწავლო კურსის თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ცოდნით. აღნიშნული დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუშიც.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ისინი გაცნობილნი არიან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

პროგრამას ძირითადად აქვს სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისთვის, რაც შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულთან დადარება.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შუძლია სუბიექტური და ობიექტური გამოკვლევის მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების შეჯამება-ანალიზი და სწორი დიაგნოზის დასმა. მკურნალობის გეგმის ჩამოყალიბება, მეთოდების განსაზღვრა, სამკურნალო მანიპულაციების პრაქტიკულად და სწორი თანმიმდევრობით განხორციელება. აქვს კოლეგებთან და პაციენტებთან კომუნიკაციის უნარი, აზრის თანმიმდევრულად, ლოგიკურად ჩამოყალიბების და გადმოცემის უნარი; თემატურ პოლემიკაში ჩართვის უნარი; აქვს სპეციალიზებული თეორიული ცოდნა, აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის შესაძლებლობებს. აქვს სისტემატიზირებული ცოდნა ყბა-კბილთა მიდამოს ორგანოების და სისტემების ანატომიური ნაწილების დანიშნულებათა და ურთიერთკავშირის შესახებ. პირის ღრუს დაავადებების, პირის ღრუში გამოვლენილი სომატური დაავადებების კლინიკური ასპექტების ღრმა სისტემური

ცოდნა; აღნიშნულ დაავადებებთან მკურნალობისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობის გაცნობიერება. კურსდამთავრებული აცნობიერებს მედიცინისთვის სპეციფიკურ სამართლებლივ და ეთიკურ პრობლემებს; აცნობიერებს კონფიდენციალობის დაცვის, საექიმო ფიცის და კორპორაციული ეთიკის ღირებულებათა პატივისცემის მნიშვნელობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის სწავლის შედეგები ○ პროგრამის მიზნები ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ○ სასერთიკაციო გამოცდის შედეგები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: მოხდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების დეტალური კონკრეტიზაცია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სწავლის შედეგები სეპარატულად იყოს დაჯგუფებული ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის მიხედვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მოქმედ აკრედიტირებულ პროგრამასთან შედარებით ახალ პროგრამაში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. კერძოდ, პროგრამა ნაწილობრივ მოიცავს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებულ დამოუკიდებელ სასწავლო კურსებს. იმის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი საქმდება კერძო კაბინეტებსა და კლინიკებში, ასევე ჯანდაცვის ორგანიზაციის სისტემებში, პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები: „სტომატოლოგიური კლინიკის მართვა“, „ლიდერობა ჯანდაცვაში“ და სხვა. აქტიური პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების გაძლიერების მიზნით და დასაქმებულთა რჩევების გათვალისწინებით, სტუდენტები გაივლიან საფანტომო კურსს დენტალურ იმპლანტოლოგიაში და პრაქტიკის კურსს – „სტომატოლოგიის ასისტირება“.

დაიხვეწა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა: კლინიკური კურსების ნაწილში დაგეგმილია ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდის (OSCE) ჩატარება.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტომატოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სტომატოლოგიის პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილების - „ბსუ-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების და „ბსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მიხედვით-განცხადების საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქე პროგრამაზე ირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლესი სასწავლებელში მიღების წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“).

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შიდა საუნივერსიტეტო მობილობით შესაძლებელია პირველი სემესტრის შემდეგ, ხოლო გარე მობილობით შესაძლებელია მეორე სემესტრის შემდეგ. მობილობით ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისად. ჩარიცხვა ხორციელდება სტუდენტის კრედიტების ახალ პროგრამასთან თავსებადობის აღიარების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება 10 სემესტრის და 300 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება. სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების კრედიტების თანაფარდობა შეადგენს 285/15-ს. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან და ევროპის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან. 1 კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს, წელიწადში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს არა უმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამის ფარგლებში კურსებისა და მოდულების თანმიმდევრობა ლოგიკურია. კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შემადგენელი მოდულების შინაარსთან. ბსუ-ს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია ათი ძირითადი სწავლის შედეგი, რომელიც ზოგადია და არ არის სტომატოლოგიის დარგის ვიწრო სპეციალობებზე მორგებული, რასაც პროგრამის მოდულების შინაარსი აკმაყოფილებს. კერძოდ შედეგებში გაწერილია რომ სტუდენტს ეცოდინება სტომატოლოგიური დაავადებების გამომწვევი მიზეზები, შეემძღვათ დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა. არ იკითხება თერაპიული, ორთოპედიული, ქირურგიული, ბავშვთა
--

სტომატოლოგიის, იმპლანტოლოგიის სპეციფიკა. შედეგები არ არის გაწერილი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით (დანართი 1), კერძოდ არ არის გამოყოფილი ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რაც წარმოადგენს პროგრამის კვალიფიკაციის განმსაზღვრელ ელემენტებს.

დარგობრივი სტომატოლოგიური დისციპლინების გავლამდე, სტუდენტები გადიან ზოგად დისციპლინებს: როგორიცაა: ადამიანის ნორმალური ანატომია, ლათინური ენა, სამედიცინო ქიმია და ა.შ.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროგრამას, მის სტრუქტურას და დაშვების წინაპირობებს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თითოეული მოდულზე დაშვების წინაპირობები. აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია სილაბუსებში, ასევე ხდება აკადემიური პერსონალის მიერ მათი ინფორმირებულობა პირველივე ლექციაზე.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის მიმართულებით პროგრამის შემუშავების, განვითარების და მონიტორინგის მიზნით შემუშავებულია სამუშაო ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულის ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სტომატოლოგიის საგნმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- წინაპირობების მატრიცა
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შემადგენელი მოდულებისა და სასწავლო დისციპლინების შედეგების გათვალისწინებით, მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების დაკორექტირება, სტომატოლოგიის ვიწრო სპეციალობებზე მორგება და პროგრამის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი მახასიათებლების ჩამოყალიბება.

მიზანშეწონილია სასწავლო პროგრამაში შევიდეს (ჩაერთოს) ისეთი სასწავლო დისციპლინები, როგორიცაა: გეროდონტოლოგია, სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა, შშმ პირების სტომატოლოგიური დახმარების მენეჯმენტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად. სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გათვლილია თემატიკის მოცულობიდან გამომდინარე, მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს. სასწავლო დისციპლინების უმეტეს ნაწილში საგნის წინაპირობები ადეკვატურად არის გაწერილი. საგნები ადეკვატურია სტუდენტებისთვის და ლოგიკურად აღსაქმელი. აღსანიშნავია „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“, რომელიც წარმოადგენს მესამე სემესტრის საგანს არ გააჩნია წინაპირობა. კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა პირის ღრუს ორგანოების ანატომიის, ჰისტოლოგიის შესახებ, შეასწავლოს კბილების ანატომიური აგებულება, კბილების განვითარება, პირის ღრუს დაავადებები, როდესაც ჯერ არ აქვს გავლილი პირველი კურსის საგანი ადამიანის ნორმალური ანატომია I და II . თუმცა ინტერვიუს შედეგად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გამოიკვეთა ის ფაქტი რომ სასწავლო კურსის მენეჯმენტის კუთხით სტუდენტებს ეძლევათ მკაცრად განსაზღვრული ცხრილი და ვერ ირჩევენ პრეკლინიკურ ოდონტოლოგიას ადამიანის ნორმალური ანატომიის ჩაბარების გარეშე. ამას ახორციელებს ადმინისტრაცია, თუმცა უმჯობესია სილაბუსში იყოს გაწერილი წინაპირობა, რომ სტუდენტისთვის იყოს ნათელი და მარტივად აღსაქმელი.

მსგავსი საკითხი გამოიკვეთა საგანზე „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“, კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა ბავშვის ანატომიური ფიზიოლოგიური განვითარების თავისებურებების შესახებ, პირის ღრუს მაგარი ქსოვილების შენების შესახებ, ნერწყვისა და პირის ღრუს როლის შესახებ, საგანი ისწავლება მეოთხე სემესტრში წინაპირობის გარეშე.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე გარდა ქართველი სტუდენტებისა ირიცხებიან საერთაშორისო სტუდენტები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოცემული საერთაშორისო სტუდენტები (თურქეთი, აზერბაიჯანი და ა.შ) გადიან ერთ წლიან ქართული ენის სავალდებულო მოსამზადებელ კურსს „ქართული ენა უცხოელთათვის“, რომელიც ხორციელდება ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ და შემდგომ უერთდებიან სასწავლო პროცესს. 12 კომპონენტის კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი.

პროგრამაში ძირითადი აქცენტი მიმართულია თეორიული მზადებისაკენ, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია. სპეციალობის საგნებში როგორიცაა მაგალითად კლინიკური ოდონტოლოგია და ენდოდონტია, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია, კლინიკური ქირურგიული სტომატოლოგია, კლინიკური პაროდონტოლოგია სტუდენტებს არ უწევთ პაციენტებთან მუშაობა. არ არის სავალდებულო მანიპულაციები და მათი რაოდენობა სილაბუსებში გაწერილი, რაც უნდა შესრულდეს პაციენტებზე და არა ფანტომებსა და მულაჟებზე, რატომუნდა ექიმი სტომატოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, მითუმეტეს სასწავლო პროგრამის ბოლო კურსზე. ბსუ-ს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა რაც პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებით და განვითარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- სწავლის შედეგების რუქა
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

- საგანს „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“ (3 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი)
- საგანს „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“ (4 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი) და „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგიის საფუძვლები“ (3 სემესტრი).
- პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.
- გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობა.

• პროგრამის ხელმძღვანელს მიეცეს უფლება კლინიკურ საგნებში დარგის სპეციფიკიდან და პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვროს ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სტომატოლოგიის პროგრამის უცხოელი სტუდენტებისათვის, საგნის შინაარსში „ქართული ენა უცხოელთათვის“ მოხდეს სტომატოლოგიის დარგისთვის აუცილებელი, საჭირო ქართული ტერმინოლოგიის შეტანა რათა სტუდენტებს უფრო გაუადვილდეთ მოცემული პროგრამის გაგება და შესწავლა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება	და
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.	
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს შედეგად როგორც სტუდენტებთან ასევე აკადემიურ პერსონალთან გამოიკვეთა უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობები. სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში კვლევითი კომპონენტის ასახვა. ჩამოყალიბდა სამეცნიერო	

კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები - სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა, სამეცნიერო კვლევის საფუძვლები. სტუდენტთა კვლევითი პროექტების განხორციელებას ხელმძღვანელობენ აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან სამეცნიერო ნაშრომების სტრუქტურას, ლიტერატურაზე დამოუკიდებელ მუშაობას, ინფორმაციის მოძიებას და ა.შ. ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით აკადემიური პერსონალი ახორციელებს სტუდენტთა ჩართულობას პროფესიულ ასოციაციებში. სტუდენტები იღებენ მონაწილეობას ტრენინგებში და კონგრესებში. ფაკულტეტს წარმოდგენილი აქვს ოთხი საერთაშორისო მემორანდუმი, რაც მოიცავს გავლით პროგრამებს როგორც სტუდენტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთს ფაკულტეტის დაფინანსებით ლექტორების საერთაშორისო ტრენინგებზე დასწრება და ხელშეწყობა. ბსუ-ს მიერ გამოქვეყნებულ იქნა სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები ○ მემორანდუმის დოკუმენტი ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ბსუ-ვებ გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა აკადემიური საბჭოს 2017 წლის N37 დადგენილება „ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ და დაგეგმა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლის მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდები, როლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. დიდი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება ხდება მანევრებისა და ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით (კურიკულუმში არსებობს ასისტირების ცალკეული კურსი), ვიზირებით, რაც რათქმაუნდა უზრუნველყოფს სტუდენტის ინტეგრაციას სტომატოლოგიურ გარემოში, თუმცა ისეთი დარგისთვის როგორც არის სტომატოლოგია, აუცილებელია მეტი პრაქტიკა, პაციენტებთან მეტი კომუნიკაცია, პრაქტიკული უნარების განვითარება (ექიმი სტომატოლოგის ზედამხედველობის ქვეშ) და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
რეკომენდაციები: კლინიკურ საგნებში პაციენტებთან მეტი კომუნიკაცია და პრაქტიკული მუშაობა ექიმი სტომატოლოგის, პროფესორ მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ იყოს

სავალდებულო.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ბსუ-ს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ათვისებული ცოდნის შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი გამოცდის მეშვეობით. შეფასების მეთოდები როგორცაა წერითი, ზეპირი, პრაქტიკული და ა.შ. თითოეულ სილაბუსში ინდივიდუალურად არის გაწერილი. გამოცდები ტარდება ზეპირი, ტესტური, პრაქტიკული ან კომბინირებული სახით. სტუდენტთა შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის სისტემაზე გადასვლის მიზნით, ჩატარდა OSPE გამოცდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ფაკულტეტი ჩატარდა ტრენინგი სწავლის მეთოდებისა და შეფასების სისტემების თანამედროვე მეთოდების შესახებ. თანამედროვე შეფასების სისტემასთან ინტეგრაციის მიზნით ფაკულტეტი დაგეგმა სტომატოლოგიის პროგრამისთვის ოსკის გამოცდა, ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული

სადგურების დათვალიერება რაც საჭიროებს დასრულებას და ფორმირებას, სავარაუდოდ მომავალი სემესტრიდან იქნება უკვე გამოყენებული. ხარისხის სამსახურმა ასევე წარმოადგინა ოსკის გამოცდის შეფასების სისტემა სადაც დეტალურადაა გაწერილი სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ ინტერვიუს შედეგები ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ○ პრაქტიკული უნარების შეფასების დოკუმენტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასაკვალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ-ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვიზიტამდე გადმოგვეგზავნა მასალები, რომლებსაც ყურადღებით გავეცანიტ და შემდეგში ინტერვიუებისას მნიშვნელოვნად გამოვიყენეთ.

უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში სტუდენტების ინტერვიუებისას დასტურდება სრულყოფილი საკონსულტაციო საათებისა და უკუკავშირის მიღება როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებზე.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტში- „საკონსულტაციო საათებზე“ - ნათლადაა ნაჩვენები მაგალითი თუ როგორ ხდება დატვირთვის გადანაწილება.

ვიზიტის მიმდინარეობისას, უნივერსიტეტის IT სამსახურის წარმომადგენელმა ზედმიწევნით გვიჩვენა თუ როგორ ხდება ვებ-გვერდის გამოყენებით დასკვნითი ნაშრომის ქულის აპელირება, სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიება-დარეგისტრირება, ვებ-გვერდის გამოყენებით აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან დაკავშირება და ა.შ.

სტუდენტური სერვისის ეს მხარე, შეიძლება ითქვას სრულყოფილად აქვთ გამართული, თუმცა ინტერვიუებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის არ იყენებენ ზემოთხსენებულ პორტალს აპელირებისთვის და უშუალოდ მიმართავენ საგნის ხელმძღვანელს. მნიშვნელოვანია, სტუდენტებს დეტალურად გაეცნოთ გარკვეული პროცესების მიმდინარეობის ფორმალური მხარე და გაწერილი წესების დაცვით მოხდეს

მათი განხორციელება.

უნივერსიტეტის პორტალზე რეგულარულად მიმდინარეობს ვაკანსიების განახლება, თუმცა არა კონკრეტული პროფესიის, არამედ ზოგადი სახის, რაც გულისხმობს სხვადასხვა კომპანიებში კონსულტანტის, მოლარისა და დამხმარის პოზიციებს. სტაჟირება-დასაქმება უნივერსიტეტის დახმარებით, ძირითადად, დამამთავრებელ კურსზე ხდება მოკავშირე კლინიკებში.

მიღებული რეგულარულ უკუკავშირის მიუხედავად, აკადემიური მოსწრება დაბალია, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ამ ფაქტს გარკვეულწილად სტუდენტების დასაქმებულობას უკავშირებს, თუმცა აგრეთვე აღნიშნავენ რომ გარკვეულ შემთხვევებში სტუდენტი წარჩინებით სწავლობს უნივერსიტეტში მიუხედავად იმისა რომ დასაქმებულია.

ბსუ-ს მიერ მოწოდებული მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მოითხოვს გაუმჯობესებას, რაც თანამედროვე სამყაროში ასეთი პრიორიტეტულია. სტუდენტები ადასტურებენ რომ იღებენ გარკვეულ ინფორმაციას საერთაშორისო ღონისძიებებისა და მოხილობის შესახებ ვებ გვერდის გამოყენებით, თუმცა მათი ინტერესი დაბალია.

ასევე მნიშვნელოვანია გაიზარდოს ადგილობრივ ღონისძიებებსა და კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობა, რაც, საბოლოო ჯამში, წარმატებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ინტერვიუების პროცესში დამსაქმებლებმა აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ პროგრამას და მონაწილეობა მიიღეს მის განვითარებაში.

მათი თქმით, მოხდა პრაქტიკის კომპონენტების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც პრიორიტეტულია დამსაქმებლისთვის.

უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებებს უკრაინაში ბოგომოლეცის უნივერსიტეტთან, სადაც სტუდენტები მიიღებენ მეტად მაღალი დონის პრაქტიკას. მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, რაც მომავალი პრაქტიკოსი სტომატოლოგისთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია სწავლის პროცესში, თუმცა სასურველია გაიზარდოს აღჭურვილობის რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, ერთი-ორად გაზრდის მიღებული პრაქტიკის ხარისხს ან მოხდეს სტუდენტების პრაქტიკული პრაქტიკული ჯგუფების შემცირება მაქსიმალური 10 სტუდენტიდან 6-7 სტუდენტამდე.

სსიპ-ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რანდომულად უწევს მონიტორინგს ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც საგრძნობლად ამცირებს სილაბუსით გაწერილი კურსიდან გადახვევებს.

ზემოთხსენებული დეპარტამენტი რეგულარულად ქმნის კითხვარებს და აანალიზებს პროგრამის სუსტ მხარეებს.

ერთ-ერთ გამოკითხვაში სტუდენტების 35% აღნიშნავდა რომ არ განუხილავს შუალედურის ნაშრომი, ანუ, არ მიუღია უკუკავშირი. ხარისხის სამსახურის ინიციატივით ყოველი გამოცდის შემდეგ შემსწორებელმა უნდა განმარტოს ქულის დაკლების მიზეზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სტუდენტების ინტერვიუების შედეგების ანალიზი

კურსდამთავრებულების ინტერვიუების შედეგების ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში

მემორანდუმები

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერვიუების შედეგების ანალიზი

უნივერსიტეტის ვებ-პორტალი <https://portal.bsu.edu.ge>

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საყურადღებოა, რომ სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში იყოს ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.

სასურველია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტის მომავალი კარიერული წინსვლისათვის.

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისათვის აპელირების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- არ ფასდება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა

მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 34 აფილირებული აკადემიური პერსონალი, აქედან 10 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 8 ასისტენტ პროფესორი, 2 ასისტენტი და 42 მოწვეული პერსონალი. სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 34, აქედან 10 აფილირებული პროფესორი, 14 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 8 აფილირებული ასისტენტ პროფესორი და 2 აფილირებული ასისტენტი. პერსონალის მართვის ძირითადი მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი შემდგომში პროფესიული და კარიერული ზრდა, რათა უნივერსიტეტმა ადეკვატურად და წარმატებულად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რაც დგას ზოგადად უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების წინაშე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ხორციელდება აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) და მოწვეული პერსონალის (უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) მიერ. პროგრამის სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა თითოეული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობა, რის საფუძველზეც გადაწყდა მათი პროგრამაში ჩართვა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შემდგომ შედეგების ანალიზს, რისთვისაც შემუშავებული აქვთ სხვადასხვა სახის გამოკითხვის ფორმები. პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მიმდინარეობს მონიტორინგი, რომლის დროსაც ხდება აკადემიური პერსონალის შეფასება, სილაბუსის შემოწმება და პროფესორ-მასწავლებლების სწავლის მეთოდების და ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება. ასევე ხარისხის სამსახურის ხელშეწყობით ხდება სტუდენტების მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება, რომლისთვისაც ასევე შემუშავებულია გამოკითხვის ფორმები. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიუს დროს, პერსონალის გამოკითხვისას. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი რესურსის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რაც ასახულია აკადემიური პირების და მოწვეული სპეციალისტების CV-ებში. მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია, რომ უზრუნველყონ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებებითა და გამოქვეყნებული ნაშრომებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

• თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები • პროფესორ-მასწავლებლების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები • ფაკულტეტის ბიუჯეტი ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №03 გადაწყვეტილება "ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის" დამტკიცების თაობაზე
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტმა თავი მოუყარა სათანადო სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული ცოდნის მქონე პირებს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორ მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციები, სემინარები თუ პრაქტიკული სწავლებები სისტემატიურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ასევე ხდება პერსონალის შეფასება სტუდენტთა მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით.

ბსუ-ს შემუშავებული აქვს და მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს, ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი სისტემატურად აქვეყნებს ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში. აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებსა და პროექტებში.

ბსუ-ს ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. 2018 წლის 13 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ მიიღო N04 გადაწყვეტილება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე [5]. აღნიშნული წესი არეგულირებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში (კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრენინგზე, სეზონურ სკოლაში ან/და სხვა სამუშაო შეხვედრაზე) მონაწილეობის/მივლინების დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელ-შეწყობის გადაწყვეტილება, რისთვისაც თანადაფინანსების პრინციპით მოქმედებს ინგლისური ენის სერტიფიცირებული კურსები.

ბსუ-ს ადმინისტრაცია აკადემიურ პერსონალს პერიოდულად სთავაზობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში მონაწილეობას, რის შესახებაც ინფორმაცია პერსონალს მიეწოდება ელექტრონული პორტალის <https://portal.bsu.ge> საშუალებით, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დარეგისტრირდეს ტრენინგ-კურსზე ელექტრონულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ფაკულტეტის ბიუჯეტი

• პროფესორ-მასწავლებელთა პირადი მონაცემები, მათთან დადებული ხელშეკრულებები; • სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფლობს სათანადო ინფრასტრუქტურას და ტექნიკურ აღჭურვილობას: სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სპორტული

ბაზები და საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

ბსუ-ში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა აღჭურვილი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსი. პროგრამაში დამატებითი ლიტერატურის სახით მცირე რაოდენობით არის შეტანილი ინგლისურენოვანი დარგობრივი სახელმძღვანელოები, თუმცა პროგრამის მიხედვით ინგლისური ენა ისწავლება გაძლიერებულად ორი წლის განმავლობაში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური საბაზო კლინიკა „ბსუ“ დენტი 5 სტომატოლოგიური დანადგარით. ვიზიოდიანოსტიკის აპარატურით, ჰელიო-ნათურებით, სკალერებით, დასათვალისწინებელი და სამანიპულაციო (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტიული) ინსტრუმენტებით, საბჟენ-სარესტავრაციო მასალებით, მედიკამენტებით და დამხმარე მასალებით, ორთოპედიული ხელსაწყოებით, ინვენტარით. კლინიკაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასტერილიზაციო ოთახი.

აღნიშნულ კლინიკაში ფუნქციონირებს სასწავლო ოთახები, აღჭურვილი მულაჟებით და ფანტომებით რაც მცირეა სტუდენტთა იმ რაოდენობისთვის რომლებიც ირიცხებიან სტომატოლოგიის პროგრამაზე. იმის გათვალისწინებით რომ პროგრამა უხვად მოიცავს სპეციალობაში საფანტომო კურსს, აღნიშნული რაოდენობა მცირეა სტუდენტთა საფანტომო სწავლებისათვის. 150 სტუდენტისთვის დაწესებულებას აქვს ორი ფანტომი. მუშაობენ ამოღებულ კბილებზე რაც პრაქტიკაში მიღებულია, თუმცა სწავლების ბოლო ეტაპზე ისწავლება საფანტომო იმპლანტაცია, შესაბამისი მულაჟი ვერ მოვიპოვეთ როგორც ადგილზე, ასევე შესყიდვების ფურცელში. ბსუ-ს მიერ მოწოდებულ იქნა სახარჯი მასალების ინვოისი რაც რეზიდენტებისთვის იყო განკუთვნილი, აღნიშნულში არ იყო ფანტომები, მულაჟები. საანეთეზიო მულაჟი მხოლოდ ერთი არის დაწესებულებაში. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ ჯგუფში შეიძლება რეგისტრირდებოდეს 15 სტუდენტი აღნიშნული მასალები არ იქნება მათთვის საკმარისი.

საუნივერსიტეტო კლინიკის გარდა სასწავლო პროცესი ხორციელდება ასევე თანამედროვედ აღჭურვილ აფილირებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში: „მედია ბელუსი“, „ბათუმი დენტალი“, მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას უზრუნველყოფს კლინიკები: შპს „J – smile“, „საოჯახო სტომატოლოგიური ცენტრი - ჩემი სტომატოლოგი“, შპს „ფემილი დენტი“, ი.მ „თინათინ გორგილაძე“, შპს „ლიდერ დენტალ+“, ი.მ. „დათო შავაძე“, „მაი დენტი“, შპს „დენტალ ლუქსი“, „დენტ ეფექტი. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია სამედიცინო კლინიკური ბაზები: შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“, ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა“; შპს „ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“; „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“; „უნიმედი აჭარა, ბათუმის რეფერალური საავადმყოფო(ევექსისის ჰოსპიტლების ქსელი)“; „უნიმედი კახეთი (მ.იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი)“, მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი; საზღვაო ჰოსპიტალი;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალისწინება
- თვითსეფასების ანგარიში

შესყიდვების საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

მოხდეს სტუდენტების არსებული რაოდენობის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული საფანტომო მასალების შეძენა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

იმის გათვალისწინებით რომ საერთაშორისო ლიტერატურასთან შედარებით ქართული დარგობრივი სახელმძღვანელოები არც ისე მრავალფეროვანია, დამატებითი ლიტერატურის სახით მოხდეს პროგრამაში ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების დამატება თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ და ბავშვთა სტომატოლოგიაში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. ფაკულტეტზე მოქმედი საერთაშორისო პროექტების ფარგლებში შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობით მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილობრივი შევსება . სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია ბიუჯეტი . პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • პროგრამის ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება.

პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხელმძღვანელი და განხორციელებაში მონაწილე პირები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მუშაობენ ბაზრის შესწავლაში, მიზნების, კომპეტენციების და სასწავლო გეგმის განსაზღვრა-ჩამოყალიბებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს დამსაქმებელთა კითხვარს და მონაწილეობს მათ გამოკითხვასა და შედეგების გაანალიზებაში; ახდენს პროგრამის

პერიოდულ ექსპერტიზას – შეიმუშავებს და აწვდის შენიშვნებს, რეკომენდაციებსა და დასკვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმის შემუშავების მიზნით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი შეფასების წესის მიხედვით, სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის (ლექცია-პრაქტიკულები) მიმდინარეობის მონიტორინგი და შეფასება მეცადინეობებზე დასწრება-დაკვირვების საშუალებით, ასევე კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზით.

პროგრამაზე განხორციელებული მუდმივი მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზით, სამსახური შეიმუშავებს პროგრამის გაუმჯობესებისთვის აუცილებელ რეკომენდაციებს, რომლებიც დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის სტრუქტურებსა და სასწავლო დეპარტამენტებს.

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე, მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. ამკარაა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრონციპს – „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5450_1.pdf
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“,
3. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“,
https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf
4. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf
5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება - „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/93 დადგენილება „ბსუ-ს

სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის

დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, 6. შრომის ბაზრის კვლევა, 7. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; 8. დარგობრივი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორები. 9. პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, იხ. www.apa.bsu.edu.ge 10. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები იხ. ბმულზე https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html , 11. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N5 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“. დანართი 5.1.11.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია საერთაშორისო ექსპერტის ჩართვა ხარისხის შეფასების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმში მნიშვნელოვანი ადგილის უჭირავს პროგრამული აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს. საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სხვა დიანტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა ჩატარებულია თსუ სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ს. მღებრიშვილის მიერ. ასევე, მისი განხილვა მოხდა დამსაქმებლებთან და გათვალისწინებული იქნება მათი რეკომენდაციები და პროგრამას დაემატა პრაქტიკის კომპონენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/91 დადგენილება „ბსუ_ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ 2. საგანმანათლებლო პროგრამა _ სასწავლო გეგმა 3. ბსუ_ს ხარისხის სამსახურის კვლევები https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html 4. პროგრამის გარე ექსპერტიზა 5. ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმის 6. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა 7. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავების და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები საფუძვლად ედება პროგრამის გაუმჯობესებას, მოდიფიცირებას და ადაპტირებას განახლების უზრუნველსაყოფად.

ბსუ-ში სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმატით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ფორმების შეფასება ლექცია-პრაქტიკულებზე კოლეგებზე დასწრების საშუალებით.

ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. აღნიშნული პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული რეგულაციის, ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. პროგრამის შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

მუდმივად ხორციელდება ინფორმაციის სისტემური შეგროვება, ინფორმაციის დამუშავება

და შემდგომი ანალიზი, კვლევა და ანალიზი კეთდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა-გაუმჯობესების მიზნით.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების ანალიზის კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში – პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. კერძოდ, სილაბუსებში გათვალისწინებული იქნა სწავლების თანამედროვე მეთოდები და შეფასების ფორმები, დაემატა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემსწავლელი სასწავლო კურსები, მოხდა რიგირ სასწავლო კურსების მოდულებად ჩამოყალიბება და გაიზარდა ინტეგრირების ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება.
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“; პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა იხ. www.apa.bsu.edu.ge
3. სტუდენტთა გამოკითხვები <https://portal.bsu.edu.ge/>
4. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები <https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html>
5. პროგრამის შეფასების შედეგები, გამოკითხვა;
<https://docs.google.com/forms/d/1TUWmt3teDR-wLrx10gDDTyd8aEDUezf4LChxPccega4/viewanalytics>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პერიოდულად პროგრამის დადარება უცხოური მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სტომატოლოგია, ერთსაფეხურიანი


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ელენე გიგინეიშვილი



გიორგი აბულაძე

